ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილს №227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" 29-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე №1 დანართში მითითებულ პროგრამებზე;
2. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა განაცხადი უნდა გააკეთონ 2014 წლის 11 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

3. მაგისტრანტობის კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი (ივსება ადგილზე);

ბ) პირადობის მოწმობა და მისი ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში - სამაგისტრო საგამოცდო პლასტიკური ბარათი და მისი ასლი;

დ) ორი ფოტოსურათი და ფოტოსურათების ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ; უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობაში მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის

მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი;
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ზ) ესე/პორტფოლიო, თუ შესაბამისი პროგრამა ამას მოითხოვს;

თ) რეზიუმე(CV), თუ შესაბამისი ფაკულტეტი/სკოლა ამას მოითხოვს;

4. მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გაივლიან შემდეგ მისამართებზე:
ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 ოთახი E207;
ბ) ბიზნესის სკოლა - ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 ოთახი E307;
გ) სამართლის სკოლა - ჭავჭავაძის გამზ. №32 , ოთახი A401;
დ) საინჟინრო ფაკულტეტი - ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5 ოთახი E336.
5. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველი, მაგისტრანტობის რეგისტრაციაგავლილი კანდიდატებისათვის საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ, 2014 წლის 10 სექტემბერს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები განათავსონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

7. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების შესახებ უნდა წარადგინოს უნივერსიტეტში 2014 წლის 11 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის:ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, უნივერსიტეტის კანცელარია);

8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ, 2014 წლის 16 სექტემბერს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით, მიაწოდონ სამდივნოს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები და რეიტინგული სია აპელაციის შედეგების გათვალისწინებით;

9. იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, დაიწყოს 2014 წლის 17 სექტემბრიდან და გაგრძელდეს 23 სექტემბრის ჩათვლით,

10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

10. მაგისტრანტობის კანდიდატს ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს ამ ბრძანების მესამე პუნქტით დადგენილი ყველა დოკუმენტი. უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოხდეს ამ ბრძანების მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

11. იმ შემთხვევაში თუ მაგისტრანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს ან/და ხელშეკრულებას აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა;

12. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა მხოლოდ კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტისა და ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე;

13. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ შესაბამისი ოთახის გამოყოფა მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდის ჩასატარებლად და იმ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით, მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება;

14. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს დაევალოთ, 2014 წლის 11 აგვისტომდე გამოსცენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიმღები კომისიების, სააპელაციო კომისიების, საგამოცდო პერიოდის განსაზღვრის, მე-13 პუნქტით განსაზღვრული ოთახების გამოყოფისა და სხვა შიდასაორგანიზაციო საკითხების თაობაზე;

15. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ, ამ ბრძანების მე-13 პუნქტში მითითებული ოთახის შესახებ ინფორმაცია განათავსონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

16. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ, ამ ბრძანების მე-13 პუნქტში მითითებული ოთახის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ კანცელარიას;

17. მაგისტრანტობის ის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანებით დადგენილი ვადაში არ გამოცხადებიან უნივერსიტეტში არ გაივლიან რეგისტრაციას და არ გააფორმებენ ხელშეკრულებას, კარგავენ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

18. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ, უნივერსიტეტის რექტორს 2014 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით წარუდგინონ იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;

19. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, გიორგი ბასიალიას;

20. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში შაბათ-კვირა გამოცხადდეს სამუშაო დღეებად;

21. ფაკულტეტებს/სკოლებს და უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

22. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

23. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

24. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

25. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლებს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

რექტორი **გიგა ზედანია**